

1976

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՅՆՈՒԹՅՈՒՆ



# ՀՈՒՆԵՆՆԻ

7  
1976



# შენი პირველი წელი

მემკობარ(ნი) სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ ახალი დიდი გამოცემა იმისა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პირადად ლ. ი. ბრეჟნევი მზრუნველობას და უზრუნველბას არ აკლებენ საბჭოთა საქართველოს, გამოსთქვამენ მტიციე რწმენას, რომ ჩვენი რესპუბლიკა მთელ თავის შემოქმედებით ენერჯიას მოახმარს კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებას, ღირსეულ წვლილს შეიტანს სკკ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საერთო სახალხო ბრძოლაში.

ჩვენი რესპუბლიკის 159 პიონერული რაზმეული და 1700 რაზმი ატარებს მარჯვენაფლანგის სახელს, თქვენი შრომითი წვლილი, ათასობით ტონა მიკრეფილი ციტრუსი და ჩაი, ყურძენი და ბოსტნეული ერთვის ჩვენი სამშობლოს ზვავსა და ბარაკს. თქვენი შეგროვილი მაკულატურა, ლითონის ჯართი ემსახურება მრეწველობის უზრუნველყოფას ნედლეულით, რესპუბლიკის მეცხოველეობის 165 ფერმაზე ფრიალებს „პიონერმშენის“ ალამი. შენს თანატოლებს საუოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის საქმეშიც შეაქვთ თავი ანთი საპატოო წვლილი, მზურვალედ ემზურებიან ჩვენი რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დადგენილებას სრულფასოვანი საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის შესახებ.

ათასობით პიონერი გამოიხმარა ნორჩნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩ მევენახეთა მიმართვას რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, გადაწყვიტეს მხარში ამოუდგინენ უფროსებს ამ საქმეშიც, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ვენახის ფართობისა და ყურძნის მოსავლის გაზრდაში.

დაიწყო პიონერული ზაფხული, სოფლად თუ ქალაქად. მთაში თუ ბარში ხალისიან დასვენებასთან ერთად კოლექტიურ შრომაში გაიკაფე ხასიათიცა და ჩანიც. იცოდ, დღეს შენ ბავშვი ხარ, ზვალ კი ამ დიდი ქვეყნის ბატონ-პატრონი, აქედანვე შეიყვარე და დასდე ამაგი შენს მშობლიურ კოლმეურნობას, სოფელს, ქალაქს, რომ შენი პატარა ხელით გაწეული შრომის ნაყოფიც ემატებოდეს საქვეყნო სიეთეს. საქმით დაამტკიცე, რომ ხარ ნამდვილი პიონერი, სამშობლოს პატრიოტი და ერთგული შვილი.

მაშ ასე, წინ ვრცელი ასპარეზი გაქვს, გისურვებთ წარმატებას, სულით და გულით გვინდა მეთვე ხუთწლედის პირველი წლის გამარჯვებულთა შორის გიხილოთ შენც, ჩვენი პატარა მეგობარო!



ნარჩენა მხელაქე

სევე, როგორც კარგი დედობა კარგი შედეგების გავრდით იზომება და ფასდება, სკოლის სიკარგესაც მის მიერ აღზრდილთა სიკარგით ზომავს. ზუგდილის ა. წერეთლის სახელო-

# მასწავლებელი-წუგდა სახელი

ბის № 1 საშუალო სკოლას ამ მხრივ მართლაც რომ ბევრი აქვს საამაყო. მის აღზრდილთა შორის არის ლენინური პრემიის ორი ლაურეატი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები — ი. ვეკუა და ნ. ანთელავი; საბელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. კარტოზია, პირველი ქართველი მფრინავი ქალი რ. ქორდანი. პროფესორები — გ. ჟვანია, შ. ჩხეტია, გ. მანია, გ. სოსელია, თ. ფიჩხაია, შ. მესხია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. ჩიქოვანი, მწერალი ლეო ქიაჩელი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ა. აქლენტი, ცნობილი მსახიობი პეტრე კობახიძე და სხვანი მრავალნი, რომელთა ცნობისწავლის, ოცნებას, მისწრაფებას აქ, ამ სკოლის კედლებში ჩაეყარა საძირკველი.

ხელოვან ხალხისაგან უამრავი მისალოცი დეპუტე მიიღო. მათ შორის ერთი კემბრიჯიდან იყო. დეპუტეს ხელს აწერდა ილია შუკუა. კარგ მოსწავლეს კარგი მასწავლებელი ზრდის. ზუგდიდის პირველ საშუალო სკოლას კარგი მასწავლებელიც იმავეთვე დაეკვება, როცა მისმა დამაარსებელმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ სკოლაში პირველი მასწავლებლები მიიწვია, მაშინ სკოლას არ გააჩნდა წიგნაღი ფონდი. იმისთვის, რომ ეს ხარვეზი შეეცნოთ, მასწავლებლებმა შიღერის პეისა დადგეს და გაიყიდული ბილიეტების ფულით სკოლის ბიბლიოთეკისათვის წიგნები შეიძინეს. რა თქმა უნდა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიძველა ქვეყნისა და, მაშასადამე, სკოლის ცხოვრებაშიც, მაგრამ ტრადიცია კარგი მასწავლებლებისა არ შეცვლილა.

როცა ამ რვა წლის წინათ სკოლა დაარსების 100 წლისთავს ზეიმობდა, თავისი აღზრდილებისაგან, ახლა სა-



## ქვირა

7

ივლისი

1976

საბავშვო ჟურნალი ქვირა და პ. ლენინის სახელობის წითელი პიონერული ორგანიზაციის გაზეთი

გამოვიდა 1976 წლის 26

სა. ქ. მ.-ის გამომცემლობა



... თუ სკოლის ქიმიის კაბინეტის ზღურბლს გადაბიჯებთ, იგრძნობთ, რომ აქ მართლაც ქიმიის სუფევია. ყველაფერი, რაც მაგიდებსა და კარადებში აწყვია, კედელზე ჰკიდია, თაროზე დევს, — მოქმედებს. აქ ვერაფერს ნახავთ ისეთს, რომელიც ზოგჯერ სხვათა საჩვენებლად არის გამოფენილი და წელიწადი ისე გაივლის, მოსწავლის ხელი არ შეეხება. სამივე ოთახში — სასწავლო კაბინეტში, ლაბორატორიაშია და საწყობში იდენტური წესრიგია.

ხელსაწყოში. არ დაამახოვრდეს ეპიდემიის კონტროლით გაღივებული ნახაზი, ან მონაწილეობა არ მიიღოს კედლის გავით „ნორჩ ქიმიკოსში“, რომელიც იქვე, დერეფანში, ცნობილი ქიმიკოსების პორტრეტების გვერდით არის გამოკიდებული. და თუკი ერთხელ დაინტერესდა, ერთხელ გაუფო გემო ამ საოცარ საგანს, მიერ ვეიარ დაეხსენება, ირა მასწავლებელიც აღარ მოეშეება, წრეში ჩააბამს, რეფერატის მომზადებას დააუალებს.

რომელთა შორის ბევრე ქვეყნის მოსწავლეს შედეგია. მაღალი ლარნაკები და ფიფურის სიფრიფანა მასწავლებლებს ყვეილწნულეებით დასწავლულად აღმოსავლური სტილი. ფილმი მოგვიხრობს, როგორ გავრცელდა ფაიფური ევროპაში. ეკრანზეა უკვე ევროპული ნაკეთობანი. ყავისა და ჩაის უძვირფასესი სერვისები. შემდეგ ფაიფურის რუსი ოსტატები: კუხნეცოვი, კორნილოვი. ფერად ფირს გადმოყვავიართ უკვე ჩვენს ეპოქაში, საბჭოთა ფაიფურის.



სკოლის დირექტორი შოთა ხუბულავა ქიმიის მასწავლებელს ირა გრიგოლისა გვაცნობს. როცა ირა მასწავლებელს ხუთი-ათი წუთით მაინც მოუხსენით, თუ იგი ქიმიასზე და თავის საუკეთესო მოსწავლეებზე ლაპარაკობს, დარწმუნდებით, როგორ ფანტიკურად უყვარს მას თავისი საქმე. ამიტომ აღარ გაეკვირდებით, რომ უფროსკლასელებს ამ საგანში 99,7 პროცენტი მოსწრება აქვთ. შეუძლებელია მოსწავლე არ დაინტერესდეს ან გაკვეთილზე ნახულ-მა სასწავლო ფილმმა, ან თემატურ-მა ექსკურსიამ, ან ქიმიურმა ვიქტორინამ, ან მისივე თანაკლასელების მიერ დამზადებულმა თვითნაკეთმა

მაგნიტოფონზე იმღევიანდელი ვიქტორინის კითხვებია ჩაწერილი. ლაბორანტი ნანული ლაგვილაკლავის თითს აჭერს და ოთახს ეფრინება ირა მასწავლებლის თანხაბარი: — რომელ ელემენტს ჰქვია მეცნიერის სახელი? დასახელეთ რეკოლუციონერი ქიმიკოსები. — დასახელეთ ელემენტი, რომლის სახელი ჰქვია ქვეყანას, მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილზე მყოფს. იმ დღეს ქიმიის გაკვეთილზე ფაიფურის გარშემო იყო საუბარი. ჩინეთი. ფაიფურის სამშობლო. ძველი ოსტატები. მათი ხელით შექმნილი ფაიფურის ნაკეთობანი,

რო. ლარნაკები, ჭალები, სამშენი-სები... უძველეს წესს ცვლის ფაიფურის დამზადების დღევანდელი ტექნოლოგია. ხოლო სანამ ამ ფილმს ნახავდნენ, ირა მასწავლებელმა მოსწავლეები საწარმოო ექსკურსიაზე ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში წაიყვანა, გააცნო წარმოების ტექნოლოგია, ქართული საბჭოთა ფაიფურის პირამო საწარმო. ესაუბრა მათე ხუთწლედ-ში ფაიფურის ქარხნის პერსპექტივებზე... ვფიქრობთ. ასეთი გაკვეთილი დღესაც არ ამოიშლება მოსწავლეების მესხიერებიდან, გაუღვიძებს ამ მეცნიერების ღრმად შესწავლის სურ-





ნუნსია უხუხუა

ფანტასტიკური მოთხრობა

მხატვარი რაფა სუპირიძე.

# Cogito ergo sum!

— რა თქმა უნდა! — მივუხე უყოყმანოდ და გულწრფელი სიხარულით იმის ვაშო, რომ ამჯერად მტანჯველი ტყუილის თქმა არ შეირდება. — ეს პლანეტა ჩვენი გალაქტიკის NR მიკროსოციალის წევრია და, რამდენადაც მახსოვს, ასოციაციის ჩრდილო სექტორის ერთ-ერთი ვარსკვლავის მესამე თანამგზავრია.

— **გეპიტხებით და გიანსუხებით.** — ახლა მარცხენა ხელის სალოცი თითი დამიმიზნა უხუნაესმა. — რა ურთიერთობა გაქვთ აღნიშნულ პლანეტასთან?

მე უპიე თავი მომამბეზრა შეკითხვის ამ გულმობრუვილო ფორმულამ: — **გეპიტხებით და გიანსუხებით.**, რო-მელიც, რატომღაც, ძველთაძველი ზღაპრების კრებულისა და — „ათას ერთი ღამიდან“ ჩემთვის ნაცნობ „გისმენ და გემორჩილები“-ს მაგონებდა. ვარდა ამისა, არც უხუნაესის დაკითხვის კილო მომიწონა, უცნაურად ცივ და მეტისმეტად ოფიციალურ შეხვედრაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამიტომ გადავწყვიტე ჩემი ძალა და დამოუკიდებლობაც შეჩვენებინა და, ცოტა არ იყოს, მკვახილ შევუბრუნე კითხვა:

— არა, ახლა ნება მიბოძეთ მე შევეკითხოთ. NR მიკროსოციალის მთავარი კოდექსის მესამე მუხლის თანახმად, თქვენ ვალდებული ხართ გამაცნოთ, რა სოციალური წყობაა თქვენს პლანეტაზე, განვითარების რა დონეზეა აქაური ცივილიზაცია და როგორია თქვენი დამოკიდებულება კოსმოსური კონტაქტების მიმართ. მა-

ინტერესებს ზოგი სხვა საკითხიც. **გეპიტხებით და გიანსუხებით!** — სარკასტულად გავიღიე და ძლივ შევიკავე თავი სალოცი თითის დამიხუნებისაგან.

ჩემს მოსაუბრეს კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. იჯდა წინანდებურად წელგამართული, ხელებდაშვებული და დაკინებით მიყურებდა. მერე მხარმარცხნივ მაიღის კიდეზე ჩააწკრივებულ ილაკთავან ერთ-ერთს თითი დააკირა. ჩემს ზურგსუკან უხმაუროდ გაიღო მძიმე კარი. უხუნაესმა მხერა შემოსულზე გადაიტანა:

— გააცილეთ სტუმარი რენით ნატესთან და გადავციტ ჩემი ბრძანება: უცხოპლანეტელს ზოგადდ გააცნოს ჩვენი ცივილიზაციის სოციალური წყობა, განვითარების დონე და დამოკიდებულება კოსმოსურ კონტაქტების მიმართ, აგრეთვე ზოგი სხვა საკითხიც, რაც სტუმარს დაინტერესებს და რისი გამკლავებაც დასაძგებია. სა-ღამოს უცხოპლანეტელს უკანვე მოიყვანთ.

დაუშვებლობებლად დავტოვე ითახი. არც უხუნაესს შეუწყუებია თავი — რომ წამოდექტი, თვალი არ დაუხამხამებია და ბაგი არ შერხებია. „ეშმაკაც წაუღიხარ-მეთქი“, — გუნებაში ჩავიღაპარავე. გულმობრი კაცისა არაფერი მშამს.

## 5. რენიო ნატე

რენიო ნატე (მოგვიანებით გავიგე, რომ „რენიო“ სა-მეცნიერო წოდება ყოფილა და დაბალეებით ჩვენს „პროფესორს“ უღრის) არაფრით განსხვავდებოდა თანაპლანეტელებისაგან — ისიც მელოტი და საშუალოზე



ოდნავ მაღალი იყო; სწორნაკეთებიანი, ცივი და უსი-  
ცოცხლო სახე და უხადო, ზედმიწევნით პროპორციული  
რთი ქონდა. ხმის ტემბრით უზუნაესისაგან ვერ გამო-  
არჩევნით, ოღონდ ეს იყო, მასთან შედარებით უფრო  
სწრაფად ლაპარაკობდა, და, ალბათ, სწრაფადაც აზროვ-  
ნებდა.

რენიო ნატეშ ჩემს გამცილებელს მოუხმინა, მერე ხე-  
ლის აწვევით გაისტუმრა და მომობრუნდა:

— აბა, მითხარით, პირველად რის გავგება ვაინტე-  
რესებთ?

— პირველი? — გავიმეორე და ყასიდად დადვიქრ-  
დი, თუმცა იმ პირველ ეთიპის რა ბავარდობა და გო-  
ნის სკირდებოდა — ყველზე მეტად პლანეტა გონი-  
ერი სიცოცხლის ესოდნად სწრაფი ვაინა-გავითავისის  
სიადრთლო მარჯვლებდა. რა თქმა უნდა, SOS სიგნალის  
ამოცნაც არაბაკლებ საინტერესო იყო, მაგრამ რაღაც  
შინაგანი ძალა თუ წლებით შემუშავებული სიფრთხი-  
ლი და წინდახედულება მაიახლად თავი შემეგავებინა  
და სიგნალის გამო ჯერ არავისთვის არაფერი მეკითხა.  
ამიტომ, წამიერი ფიქრის შემდეგ, რენიო ნატეს მხერა  
გავუსწორე. — პირველი? — გავიმეორე, — მე მაინ-  
ტერესებს თქვენი პლანეტაზე სიცოცხლის ჩასხვება და  
განვითარების თანამედროვე თეორია. ორიოდ სიტყვით,  
ზოგადად.

— კეთილი, — თქვა სწავლელმა და შუბლი მოისრი-  
სა. — ნაბიძგებზე სწორედ ასე მაქვს: ყველაფერი ზო-  
გადად უნდა ვაიმბოთ...

(სავარაუდო, რომელიც მე შემომთავაზეს, ძალზე რბი-  
ლი და მოხერხებული იყო).

— ფაქტობრივ არსებობს ჩვენი პლანეტაზე სიცოცხ-  
ლის წარმოშობის ორი თეორია. — მენტორული კოლო-  
ნი დაიწყო რენიო ნატემ. — როცა ვამბობ, „სიცოცხ-  
ლის“-მეტი, გველისსმობ გონიერ სიცოცხლეს, ვინა-  
იდან საერთოდ სიცოცხლეს ბოლ სამყაროში თითქმის  
ერთნაირი, სტერტიკული ფევიც და საწყისი აქვს.  
ამ თეორიათაგან ერთი ნაწილობრივ რელიგიური ხა-  
სიათისაა, თუმცა, ზოგიერთი რეალისტი მეცნიერის აზ-  
რით, სინაშდლის რაღაც წლის ეს თეორია შეიცავს.  
თი მისი ასობ: პლანეტას ორი თანამშენებელი ახლავს — ოხა-  
რა და ორა. პირველი მამრობითი საწყისის განსახიერე-  
ბაა, მეორე — მდერობითისა. ოხარა იმთავითვე, სამ-  
ყაროს შექმნისთანავე, მამრით იყო დაახლოებული, ოხ-  
რა — მდერობით. ერთობა და მეორეინც მშვილდი და  
ლეთისსომავნი იყენებ, მაგრამ შემდეგ ემშაბა ადუნა,  
ქეშპირი ზგას ვახუდგენენ და საყაროს შემოქმედი  
უაჩრებს. მაშინ მამაუფალი განჩისდა, ურჩ ქვეშევრ-  
დომებს წარლენა მოუვლინა და ამოვლიტა. თითოეული  
თანამშენებლის მოსახლოებიდან თითო წყვილი გადაარჩა.  
რომლებიც შემოქმედმა ჩვენი პლანეტაზე დაასახლა —  
ორი მამრი და ორი მდერი, დაასახლა და გამარჯვებუ-  
ლებრანა. აი, ამ ლეთის რჩეულთა შთამომავალი ვართ  
ჩვენ.

გამეცინა, რენიო ნატეს წამწამიც არ შერხებია.

— რა თქმა უნდა, ამ თეორიაში ბევრია სუსტი, ნაყ-  
ლებს სარწმუნოდ და ძნელად დასასაბუთებლად ქვეტე-  
ლი... — თქვა მან.

— სუსტი კი არა, ისეთი-თქო, რომელთა მეცნიერუ-  
ლი დასაბუთება შეუძლებელია. — ცოტა არ იყოს, უდ-  
როოდ ჩაუერთე, მაგრამ შეგნებულად არ მომობოდი-  
შები.

— ცხადია, — დამიდასტურა მეცნიერმა. — მაგრამ  
აქი ვიხიარობ: სინაშდლის თვითნაშდლები შეიძლება ამ  
ქვეშის გროვარში ერთის. თუმცა დეტალებს გარჩევის  
დრო ახლა არა გვაქვს და არც აუცილებელი ვახლავთ.  
მართალი ვიხიარობ, არაფრით მოველიდი, რომ ეს

მელოტი მანეენი საუბარში ხატოვან ტექსტს აჩაჩა-  
ვებდა. მაგრამ გავეიყვება არ გამოიმეოვებებია.

— მეორე თეორია ხანგრძლივი ამტკიცების უნე-  
ვის ნიადაგზე დაფუძნებული და მეტწილად სინაშდ-  
ტებაში ეჭვი იმითადად თუ ეპარება ვინეს, — ვანა-  
გრო რენიო ნატემ. — მას სათავე დაუდო ოთხმოცოც წლის  
წინათ, როცა სახელგანთქმულმა რენიო რენიო თარის  
მთებში ნეიტრტური ტბა აღმოაჩინა. ტბის მცირე სიღრ-  
მეებში, რაღობთან ახლოს შინაბრობს მომცრო, ოთხკი-  
ლურიანი წყალმელეთა ცხოველი, რომელიც, მართალია  
მინიატურული ზომისაა, მაგრამ აღმოაჩინა ყველ  
ორგანო (და იმავ დანიშნულებისა), რაც ჩვენ გვაქვს  
თუკი, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ წყალ-  
ში მტკობრები სიგნალისათვის აუცილებელ ლაყუქებს.

— ჰო, ეს, რასაკვირვებელია. გაცილებით უფრო მაკვს  
სინაშდლეს. — ავტორიტეტულად დაუფიქრებ რენიო  
ნატეს.

— დაიბ, და ამ თეორიას გაცილებით მეტი მომბრეც  
მაკვს. — დასაქვს სწავლელმა.

— როგორ ფიქრობ, რადენიმე დრო დასკირდებოდა  
ამ ევოლუციას — მინიატურული ინფუზორიიდან მო-  
აზროვნე არსების წარმოშობას?

— როგორ ვიხიარობ, ამის ზუსტად დადგენა შეუძ-  
ლებელია, მაგრამ, მე გგონია, დაახლოებით ათასამდე  
წელიწადი. შეიძლება ნაყოფიც.

— ათასამდე? — გავიმეორე და გამეცინა. — ათასი  
წელიწადი რა ბედნიარა?..

„სიცოცხლი ორგანიზმის უმარტივესი ფორმებიდან  
(ვირუსები, ბაქტერიები) ვინიერ არსებამდე ევო-  
ლუციისათვის აუცილებელია დროის უზარმაზარი  
ინტერვალა, ვინაიდან ასეთი ევოლუციის „მამობრ-  
ვებელი ძალა“ მეტაცია და ბუნებრივი შერჩევაა —  
პასივებით, რომელიც შემთხვევითი, სტატეკურ  
ხასიათს აქვს. სწორედ ეს ურჩევნი შემთხვევითი  
პროცესების ერთიანობა ვანაპირობებს სიცოცხლის  
უქნაშდლეს ფორმებიდან უქნაშდლესსაყენ ვახვითარ-  
ების ეანონზომიერ პროცესს. ჩვენი პლანეტის,  
დენდამიწის მავალით გვიჩვენებს, რომ დროის ეს  
ინტერვალა მილიარდ წელს აღემატება.“

(ამაწაწერი XX საუწერი მწიგნორ ნახვერის ერთ-ერთი პო-  
პულარული წიგნიდან).

— არა გგონია, რომ დენდამიწის მავალით მთელი  
სამყაროს ეტალოზად გამოადგეს. — მშვილდე მომიგო  
რენიო ნატემ, როცა ჩემი არაფუზენტი მოისმინა. — ჩვენი  
პლანეტაზე, როგორც ჩანს, რაღაც განსაკუთრებული  
პირობები, რაღაც მძლავრი ფაქტორები არსებობდა,  
რომლებმაც დააჩქარეს მეტაციაც და ბუნებრივი შერ-  
ჩევეც...

— და სულ ათასიოდ წლის მანძილზე, თქვენი აზ-  
რით, ბაქტერიიდან მივიღებ გონიერი არსება არა? —  
გამანადგურებელი დაციებით შევეკითხე მისაბუთებს.

— რატომაც არა? მე ამაში შეუძლებელს ვერაფერს  
ხუდვად.

მიგზვიდი, რომ ამ საკითხზე კამათი წყლის ნაყვა იქ-  
ნებოდა.

— კეთილი. წარმოვიდგინოთ, რომ ამ საკითხთან და-  
კავშირებით ყველაფერი ნათელია. — ვთქვი მე და ამო-  
ვიხიარე. — ახლა, თუ შეიძლება, თქვენი პლანეტის სო-  
ციალური და პოლიტიკური წყობაც ამიწერეთ.

— სიამოვნებით...

... თავი რომ არ მოვაწყვიტო, ბატონო ჩემო, შევეც-  
დები უფრო მოკლედ მოგახსენოთ ის, რაც რენიო ნა-  
ტემ მიაშრო. პლანეტას მართავდა სამკო, რომელსაც სამ-  
დახვეტურიანი საარჩევნო სისტემით ირჩევდნენ ხუთი

წლის ვადით. საბჭო იყო, როგორც კანონმდებელი, ისე აღმასრულებელი ორგანოც; მის გადაწყვეტილებათა განხორციელებას კი თხოვენიერ წლით არჩეული უზენაესი ზედამხედველობა, რომელიც საბჭოს სიხშირითაა შორის პერიოდში დიქტატორის მუხლზედავი უფლებებით სარგებლობდა (თუმცა, თუკი აუცილებლობა მოითხოვდა, საბჭოს ყოველ წელს შეეძლო მისი გადაყენება). პლანეტაზე არ არსებობდა ექსპლუატაცია, ავტონატივებუ-ლი იყო მეურნეობის უკუღმავლად ყველა სფერო. ყოველი მოქალაქე სავებს მოთხოვნილობისამებრ იღებდა, ტანსაცმელს კი — ბინათმშენებლობაზე რაღმდენისათაინა აუცილებელი შრომის საფასურად. ეს ბინები მშენდებობა განუწყვეტილად, თითქმის სტიქიურად. რე-ნიო ნატეხი თქმით, ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მო-სახლეობის ზრდამ გაუსწრო პროდუქტების წარმოებას და საბჭო იძულებული გახდა ხელოვნურად შეეზღუდა გამრავლება. ახალი ბინები კი მშენდებობდა იმ ანგარიშით, რომ უახლოეს ოცდაათ წელიწადში, როცა წარმოება გა-იზრდებოდა, საზოგადოებრივი პროდუქციის საკმაო რა-ოდენობა დაგროვდებოდა და მოსახლეობა ისევ მატე-ბას დაიწყებდა, ახალი მოქალაქენი მშაზარცული, კე-თილმოწყობილი ბინებით იქნებოდნენ უზრუნველყო-ფელი. პლანეტის მოსახლეობას თვისებრივი მქონდა ენერგეტიკული რესურსების სამოცდაათი პროცენტი. ფართოდ იყო გამოილი კვლევა ატომის სიორბეში შედ-წევისა და ატომგულური ენერჯის გამოყენებისათვის...

— ხოლო, რაც შეეხება კოსმოსურ კონტაქტებს, — თქვა რენიო ნატემ, — ჩვენ მათ დადებითად ვუყუ-რებთ. რადგან ბოლო ხანს საბჭომ წამოაყენა თეზისი პლანეტის ახლო კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათ-ვისების აუცილებლობის შესახებ... — მეცნიერი წამით შეუყოყმანდა. — მეტს ამ საკითხზე ვეარაფერს ვეტყვით. რადგან საამისო რწმუნება არ გამაჩნია.

უკვე უზენაესთან შეთანხმებული საუბარი გამახსენდა და თავში ერთმა თამამმა აზრმა გამოიღვა. ავდექი და მიუკბინო-მოუკბინავად ვაღმოვალავე:

— თუ არ ვცდები, თქვენ ნაწილობრივი კონტაქტი უკვე დამყარებული გაქვთ ჩვენი ასოციაციის R-800-A-18 პლანეტისთან, რომელსაც ამორეგინებთ აორ-დას უწოდებენ. **გაიკითხებით და მიპასუხებით:** რამდენად ფართოა ეს კონტაქტი?

რენიო ნატე გაიუმდა. თუმცა სახეზე და თვალბში არაფერი ეტყობოდა, მაგრამ ვისაც გენებავთ ნიძლავს დაუღლებდი, რომ იმ წუთს მის მელოტ თავში უჩინარ სასწაურზე გულდამსით იწონებოდა პასუხის მოხსენებ და მოცულობა. ეს ყოყმანი მხოლოდ ოციოდ წამს გაგრძელდა.

— თქვენ საიდან იცით ამ კონტაქტის შესახებ?  
— უზენაესმა მიაპბო.  
— ყველაფერი?  
— არა. მხოლოდ ზოგადად. დანარჩენს თქვენ მო-მიოხრობთ.

— შე ამის სანქცია არა მაქვს.  
— **გაიკითხებით და მიპასუხებით:** რამდენად ფარ-თოა კონტაქტი R-800-A-18 პლანეტის ცივილიზა-ციასთან?

მეცნიერი ისევ ოციოდ წამით დადუმდა.  
— ვეტყვით. — თქვა ბოლოს. — შარშანდღამდღე ჩვენ არც კი ვიცოდით ამ პლანეტის არსებობა, ხოლო შარშან სტატანუსის ავროდრომზე მისი კოსმოსური ხო-მალდი დაეშვა...

შეკრთი, მაგრამ შეკრთომასთან ერთად მთელი ჩემი სხეული უჩვეულო ზეიმის გრძნობამ მოიცვა — ბოლოს და ბოლოს, რაღაც ირკვევა, იქნებ S05 სიგნალის საი-დუმლოსაც მიაღვეს სინათლე?

არ ვიცი. შენიშნა თუ არა რენიო ნატემ რამე თომა. ყოველ შემთხვევაში, თხრობა უყოყმანოდ და უღრტვინველად განავრძო:

— ეს ჩვენი პლანეტის ისტორიაში უჩვეულოდ წამოყენდა იყო და ამიტომ საბჭომ გადაწყვიტა მისი საფუძვლიანად გამოყენება. ექსპლუატაციამ ბევრი ტექნი-კური და მეცნიერული სიახლე მოგვიტანა. მაგრამ უმ-თავრესს, რაც ჩვენი გვიანტერესებდა, რიდე ჩამოაფარა.

— სახელობარ?  
— არ გავგანდეს კოსმოსში ვასვლის საიდუმლო. კერძოდ, საწვავის შედგენილობა, ხომადღის კორპუსის მასალა, აუცილებელი სიმძლავრისა და სიჩქარის სიდი-დე, ტრაექტორიათა გამოთვლის წესი და ბევრი სხვა რამ...

— რა მიზეზით არ გავგანდეს?  
— რა მიზეზით? ჯერ საამისოდ ტექნიკურად და თე-ორიულად მოუწყობებელი ხართო. საბჭო კი სხვა ა-





რისა იყო. ამიტომ, რაკი საჭირო ცნობების მოცემა ნებით არ ისურვეს, უზენაესმა მათი დაპატიმრების ბრძანება გასცა.

— დაპატიმრებისა? — ახლა კი ნერგებმა მიღალბა და მებდაკრულვით წაიგვარა.

— დიხ, დაპატიმრებისა...

— ამიტომ ჩემო! ეს რა ბნელეთში მოვხვედრილვარ!

— **გაითხვებით და მიპასუხეთ:** სად იმყოფებიან ახლა ექსპედიციის წევრები?

— ორი სატრიაზვეტი შევიყარეთ, დანარჩენები კი დაიღუპნენ. რაღაც უცხოში უნდა შევიყარო და ისე ამოწყდნენ, ხოლოდღე დაბრუნება ვერ მოასწრეს.

— სენი? რა სენი? თუ — არ დაბედნენ და ამოხოცეს?

— არ ვიცი. მე ვარ მითხრეს. მე ასე ვიცი.

— შეიძლება მათ ზღაპრ არ იცოდნენ სინამდვილე. მაგრამ ამას შერე დავაზუსტებ, — გავიფიქრე, სმამალა კი ვთქვი.

— **გაითხვებით და მიპასუხეთ:** სად არის ახლა პლანეტა აორდის კოსმოსური ნომადი?

— დაიროშში.

— ვადარჩენილი ასტრონავტები?

— ისინიც იქ არიან.

— დაიროში ქალაქია?

— დიხ. პლანეტა სტატანუსზე სულ ორი ქალაქია: სტატანუსი, სადაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, და დაიროში, სადაც, როგორც ვითხარით, პატიმარი ასტრონავტები არიან.

— შორს არის ეს ქალაქი?

— არა. შეველმფრინე იქამდე მიფრენას ორსაათნახევარს ანდოვარდი. ჩვენგან სამხრეთით არის, თერმინატორის\* რაიონში — თქვენი ალბათ იცით, რომ პლანეტა სტატანუსი ვარსკვლავისკენ მუდამ ერთი მხრით არის მიქცეული...

— არ ვიცი... მაგრამ ამჯერად ეს არ არის საინტერესო. რენიო ნატე, თქვენ დაუყოვნებლოვ, ახლავე უნდა მოწყვანით აორდელ კოსმონავტებთან, ახლავე...

ისევ მოწყვანინ მიმე პაუზა. შემადგ:

— საამისო სანქციის მოცემა მხოლოდ უზენაესს შეუძლია.

— ჩვენ მოვასწრებთ დათქმულ დრომდე უკან დაბრუნებას. ვარდა ამისა იგი წინააღმდეგი არ იქნება. წავიდეთ, დარს ნუ ვკარგავთ.

— არ ვიცი, იქნება ჩემმა მტკიცე და კატეგორიულმა კოლომ იმოქმედ, ან იქნება რენიო ნატეს ჩემს მიმართ რაიმე კეთილგანწყობილებას გრძნობა გაუჩნდა; ასეა თუ ისე, შენციხილი წამოდგა და მაგიდის შემოუარა.

— წავიდეთ.

— ერთი წუთით, — შევაჩერე მე. — წედან მოვლანზე წაყითებ წარწერას: Cogito, ergo sum. მითხარით, რა ენაზეა ეს წარწერა?

— ლათინური. ლათინური პლანეტის ერთიანი ენის ერთ-ერთი ძირითადი დიალექტი გახლავთ.

— თქვენი იცით, რას ნიშნავს ეს წარწერა?

— ცხადია: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“.

— ისიც იცით, ვის ეუთვნის ეს სიტყვები?

— რა მოვასხსნობთ. რომელიღაც ძველთაძველი ბრძენის ნათქვამია.

— „სტატანუსი“ რაღას ნიშნავს, თქვენი პლანეტის სახელი?

— „სტატანუსიც“ ლათინური სიტყვაა. იგი რელიგიადან არის აღებული, ბავშვის პირველი ნაბიჯების მფარველი ღვთაების სახელია. ჩვენი პლანეტა ხომ ახლა სწო-

რედ ბავშვობის ასაკშია, მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვლავნებ ქვეყნობით...

„ისეც ლათინური... რა უნდა აქ ლათინური... რა იცარია ასეთი ანაქრონული და პარაფრაზული სიტყვობა სიტყვობა არაფერი მიხსავს. ჩანს, პლანეტა სტატანუსსა და დედამიწას რაღაც მტკიცე ძაღვი აკავშირებდა. მაგრამ რომელი და როდინდელი?“ — ვვიკითხე. — ვწერაფად მიმავალ რენიო ნატეს ნაბიჯს ძლივს ვუსწორებდი.

ქვევით, შენობის უკანა ეზოში, ორადგილიანი შეველმფრინე გვიცილიდა.

### 6. „დრო გაჰვამ, მოიფიქრეთ!“

შველმფრინე სწრაფად მიიწვედა წინ. მიზინდულ RT Cop ცდევინდ ზურგი შევიკვიეთ. კაბინის ხელსაწყოებს თვალი შევაველე. მერიდიანული მიმართულებით მივფრინავდი. ქვევით ვეებერთელა ტყის მასივები ჩანდა, ალა-ალავ ტყეისფერი ტემბი ლეღოვებდა. რამდენიმე დიდი მდინარე და არბიც ვლავკვირით. რენიო ნატე, ეცუბოდა, ჩქარობდა, ამიტომ მხოლოდ ორი საათი თუ იქნებოდა გასული, როცა დათვლილი მთავრების ძირში მიუცუღელი ქალაქი გამოჩნდა. ქალაქს დასავლეთით ზღვა ესახვებოდა, უფრო სამხრეთით, შორს, შავი სივრცე მოჩანდა — პლანეტის მიღმა მხარე, რომელიც მნათობის სხივი არასოდეს სწვებოდა. სთუ სადმე ვაჯობით არსებობს, შევევლად იმ ნახევარსფეროში იქნება-მეთქი, — გავიფიქრე და გამაყრდელა. ქალაქთან მიახლოებისთანავე შეველმფრინე ღრმა ვირაჟით შემობრუნდა, აღმოსავლეთ გარეუბნის განაპირა ზოლს გაყვავა და ტყიანი ქედის ძირას გაიმწვებელი პაუზა აეროლომოსკენ დავეანა. სანამ დავცვდებოდი, იქვე ახლოს, ბელმარცხნივ, თვალი ვკიდე კოსმოსურ ლამსავი: შავ ელიფსოიდს, რომელიც ოდნავ წაფრდებული იდგა მაღალ-მაღალ სახსროვან საყრდენებზე.

— ეს არას? — ძლივს გავაგონე რენიო ნატეს. — ეს არის აორდის ხომადი?

მის თავი დაძმინდა, მერე ხელსაწყოებს ჩააქვერდა და მალე ჩვენი შეველმფრინე ყოველგვარი რყევისა და ბიძის გარეშე შევიდა აეროლომოს ბეტონს (ეცვიც არ შემპარავია, რომ ეს სწორად ბეტონი იყო).

აეროლომოს ბოლოში, ვეებერთელა, წაკვეთილი ექვსკუთხა პირამიდის ფორმის, გამჭვირვალე ნავებობის გვერდით დავეშვი. პაერიდანვე, მცირე სიმძლავრეზე ფრინისამ და გამჭვირვალე თალღების ქვეშ მოქცეულ უზნაშობარ, ალბათ რამდენიმე კვადრატულ კილომეტრიან ფართობზე ათიდაც სხვადასხვა ფერისა და სიდიდის, მაგრამ ასევე ექვსკუთხა შენობა შეენიშნე. სტატანუსში ამის მსგავსი არაფერი შენობიანია.

„ქნებ სწორედ ეს არის აორდელი ასტრონავტების საპატივები?“ — ის იყო გავიფიქრე და რენიო ნატემაც ხელი წინ გაიშვირა:

— ისინი იქ არიან...

მიწაზე ფეხი დავავით თუ არა, შეველმფრინის კაბინაში წვევტილი ზუმერი გაისმა. რენიო ნატე უკანვე აბრუნდა, რომელიღაც რეგულატორი მოატრიოლა და წმინდა იაპონურ ენაზე თქვა:

— რენიო ნატე გისმენ...

...ბატონო ჩემო, მე, თქვენმა მონა-მორჩილმა, დედამიწის ათიდაც ენა ვიცი, აქედან სამი მკვდარია, ექვსი — საერთაშორისო, ხოლო ერთი — დიდისეული, მძიმე-ლირი. მაგრამ ალბათ, სულ მცირე, კიდევ ათი-თხუთმეტი ენა უნდა მკოდნოდა, რომ რენიო ნატეს და უზენაესის (დიხ, ჩემი გამძლეობაზე თვით უზენაესმა გამოიძახა) საუბრიდან რაიმე შენაარსი გამომეტანა. ყოველ

\* თერმინატორი — ჩრდილისა და სხვაოთხის საზღვარი.



შემთხვევაში, ყური მოვკარი რამდენიმე ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ჩინურ სიტყვას, ლათინურზე აღარას ვამბობ. ახსენებ დედამიწაზე, პლანეტა აორღაც, მეც, ქალაქი დაბარომცო. საუბრის დასასრულს რჩენი ნატემ თავი დახარა, „მესმის, გავაყეთებ, როგორც მიბრძანებთ...“ თქვა, კანონს კარი მიხურა და კიბე ჩამოჰყავა.

— წავიდეთ. — მოკლედ მიიხარა და წინ გაძლივდა. გარშემო სიჩუმე სუფივდა. არ ვიცი, შეიძლება სტატუსთან შედარებით, ეს აეროლოში ნაკლებად იყო გადატვირთული, ისიც შეიძლება, რომ ასტრონავტთა პატივმოხმასთან დაეკავშირებინა, დროებით საერთოდ დახურვის კიდევ იგი, ასეა თუ ისე, ვიდრე იმ უცნაური საპატრონოს კარს მივადებოდი, საფრენი ბილიცინზე ერთ თვითმფრინავს არ დაემძღარა და გზად სულაყრი არ შეგხვედრიდა.

გამკვირვებელ საპატრონოს კართან, რომელსაც უცხო თვალს ეკლდის სიბრტყიდან ვერც კი გამოარჩევდა არაქალბი შამანისნაირი იარაღით მკლავდამამბრებელი სტატუსისუფლები იღვავა რჩენი ნატემ ხელი წინ ვაიმეზრია და სტატუსისუფლებს ჩემთვის გაუგებარი ორი სიტყვა უთხრა. გუშავდა თავი დახარა, შეურბოდა, ვამოლი ხელისგული ედღეს მიაყინო, მარცხნივ წელსა შეაბრუნა და მაგარად მიაწევა. კარი უხმაუროდ შეტურდა ედღის სიბრტყეში.

— მიბრძანდით, — შემომხედა რჩენი ნატემ და ოდნავ მიღვდა. — მიბრძანდით, — ვაიმეზრია, აღბათ შემატყო, რომ წამით შევეყოყმანდი. — მე აქ დავდივდი.

ნაიაგი ვადავდაც. კარის ჰრილში რომ გავდიოდი, ედღის სიბრტყეში ვაბოცა — თითქმის ხუთი მტკიცელი იქნებოდა. „ჩანს, ძალზე მტკიცე მასალაა აისი“, ვავიფიქრე და მყისვე ვიგბეძინე — ზურგს უკან უხმაუროდ დაიხურა გამკვირვებელი კარი.

ფიცხლად შეივებრუნდი. ექვი გამიბართლდა — გარესაპაროსიდან მტერზე უსუსელი ედღის მყოფდა.

— ეს რას ნიშნავს? — ჩემდა მოულოდნელად დედანეხზე წამოვიცდა, მაგრამ მაშინვე გონს მოვედი და იგივე კითხვით პირსაბოცოცოცის კართან ენახე ვავივებოვ: — ძითხანთ, რას ნიშნავს ეს?

— ახლახან უჩენაყისასგან მივიღე მკაცრი მითითება, — უწინდებურად აუღლებელიად და აღუფიქროთველად მიპასუხა რჩენი ნატემ, რომელსაც ჩემს თვალში ედღის უსწრაფესად ჩაუჭრა პატოსანეი მეცნიერის შარავანდედი, — რომ სატუსადოში ვაყოლოდი მინამ, ვიდრე თქვენ და აორღელი ასტრონავტები არ გავვანდობთ ყველაფერს, რაც კოსმოსში ვასლისთვის არის საჭირო ინფორმაცია საუკეთესოობით უხნდა იყოს. თქვენ უხნდა შეიგნო, — ჩვენ აუცილებლად გვეკორდინება ამის ცოხნა. პლანეტაზე უამარვი საქმე გვაქვს მოსავარაუბელი და მთელი ძალა და ენერჯია ვაქვივებობით ამ შინაურ საქმეებს ხმარდება. თუ თქვენ კოსმოსში ვასვლის ხერხს გავვაცნობთ, ამით ენერჯიასაც დავსოვავთ და ოდრისაც მოვივადებთ...

იმ წუხს ყურადღება არ მიმიტყვევია ედღის უხნადური თვისებისათვის — რჩენი ნატეს ხმა ისე მკაფიოდ შემოსდა, თითქმის ჩვენს შორის არავითარი დაბრკოლება არ ყოფილიყო.

— თქვენს მოქმედებაში იოტისოდენა ლოგიკასაც კი ვერ ვხედავ, — აღუფიქროთებით და ვაკვირვებით ვავაშლო ხელში. — არც მე და უჩენასაც, არც მე და თქვენც ამ თემაზე არ ვგისაუბრია. საიდან იცით, იქნებ თანახმა ვიყავი, მომეწოდებინა თქვენთვის საინტერესო ცნობები...

— არა, — მიპასუხა მეცნიერმა, — უჩენასმა თქვა, რომ **თქვენ ვაშლანი ერთნაირი ხართ**. ჩემი მხრით კი, რას ვეტყვით: თუ ვარსკვლავის მესამე დაბინდებამ-

დე ყველაფერს გვიამბობთ, ღონეს არ დავხუცავ, რითა თქვენი მდგომარეობის შემსუბუქებას მივალწი.

— ეს როგორ ვიგვიფ? აღბათ, თუ საჭიროა ჩემთვის კიას მიიღებთ, მე და აორღელ კოსმონავტებსაც შეიძლება მოკლევადიან დატვირთვით პლანეტა. ასეა? **გამართლებით და მიპასუხებით!**

— ამას ვერ შეგბირდებით. ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული.

— მაშინ არავითარი ფასი არა აქვს თქვენს პირობას. ამასთანავე, მინდა იცოდეთ, რომ ის თქვენი უხნადური არ შემედლავა — ჩემგან ვეკავითარ ციხისას ვერ მიიღებთ.

— წაუტობით ვერაფერს მოიგებთ! — მომძახა რჩენი ნატემ. — სხვა გამოსავალი არ გავაჩნიათ, რაც იცით, უხნდა გავვხადით. ერთი სიტყვით, დრო ვევირგაქვთ. მოიფიქრეთ!

**7. აორღელი ასტრონავტები**

ვერ ვიტყვი აორღელ ასტრონავტთა პირველმა დანახვამ მათ მიმართ დღის სიმათისა აღმობა-მითევი. ირმის ნახტომს NP ნიროსოცოცოცის ყველა წევრის მსგავსად, ისინიც ჰუმანოიდები აღმოჩნდნენ, მაგრამ ჩვენგან და ჩემთვის ცნობილი სხვა უცხო პლანეტელებისასგან ჩინობლად განსხვავებულები. უპირველეს ყოვლისა, თვალში მეცა მათი ტანპროპორციბა — ორივე მათგანი მკერდამდე თუ მომწველებოდა, მე კი (არ ვიცი, იქნებ აქამდეც მითქვამს სადმე) საშუალო დედამიწეის სიმაღლისა გახლავართ. სადავიგერო, ვმბობ და ჩადგმული ვევაკცები იყვნენ — თხემისცი კანუსისებურად წვარბელებული თავი მსვილი, მძლავრ კისერს ეყრდნობოდა. კისერი შეუძინებელი, თანდათან ვიწყვილოდა მერსიმეტად დაქანებული მხრების სიმრუდეს. ბანჯგვლიანი ხელის მტკიცებით მუხლებშით უხნადობ, ხოლო ფეხები... ფეხები რომ შევხებდი მაშინა მივხებდი, რატომ ჩანდნენ აორღელები ასე ტანდაბალნი: ისინი სიარულისას ჩვენსავით ტრეტენ კი არა, მთელ წევებს ეკრდნობოდნენ მუხლიდან თითებამდე, რომლებიც უკან ჰქონდათ მიტყვეული. ერთი სიტყვით, ყველაფრით ჩანდა, რომ აორღელი მასის ამქვე პლანეტა უხნდა ყოფილიყო და სიმძიმის ძალის მჭერაება მის ხედავიერ აღბათ რამდენიმეჯის სჭარბობდა დედამიწისა და სტატუსის სიმძიმის ძალის ამქვეება. სახით აორღელები ისტრონიამდე აღდამიანს, ნეანდერტალეს ჰგავდნენ — იგივე ვიწრო და დაქანებული მუხლი, იგივე წინამოწერილი ტუ-პილი, მიტყვეული ცხვირი და ღრმად ჩამდარი თვალები... ოღონდ აი მხურა კი, მხურა უხნადურად გამსჭვალავი. თითქმის მომუსხველი ჰქონდა. იგრძნობოდა, რომ ამ ვამოხხვდის პატრონი უეველად დიდ და მძლავრ ინტელექტის მფლობელი უხნდა ყოფილიყო.

ყოველივე ეს, რაც ახლა მოვახსენებ, პირველივე შეხვედით აღვიქვი, მაშინვე, როგორც კი ვარღისვერ სახლთან მიმლოცვისისა მენობის კუთხის ორი ვმბობ დიეტურა ვამოწყობ და წინ ვადამივდა. შევაკვრე, რომ ღიღის სიმათია აორღელებში არც მე გამომიწვევია, რადგან, წინ ვადამივდნენ თუ არა, ხელები მომუშტეს და დაახლოებით ისეთი პოზიციაც დაიკვიეს, ჩვენებურ ძიულდისიტებს რომ სჩვევითა ქილაობის დაწყების წინ. მივხვდი, კარგი დღე არ დავადგებოდა, თუ გზის ვაგამეტყვება და ვაპირებდი, რადგან ამ ორი აორღელის ბუნებურად ვიხიკურ ძალას, თუ მერტას არა, ათი ჩემისთანას მილწე-მოლწევა მინც შეეძლო. ამიტომ შევიჩნდი, მარკვენი ხელით, ყოველი შემთხვევისათვის. პარალიზატორის ტრაი მოვსინჯე, მარცხენა ხელისგული წინ ვავიშვირე და მკაფიოდ, თითქმის დამარცხელი წარმოვთქვი



— ნი მიკროასოციაციის წევრთათვის სავალდებულო მისალმების ფორმულა:

— უკუნითი უკუნისამდე ინათოს თქვენმა ვარსკვლავმა, მეგობრებო!

ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, გაჭრა. აორღელება ხელები დაუშვეს, წელში გაიმათინენ და მოღუშული ხშირი წარბები გაეშალათ. მაგრამ ნაბიჯი არც ერთს არ გადმოუღვამს.

— უკუნითი უკუნისამდე ინათოს თქვენმა ვარსკვლავმა! — მიასახა ერთ-ერთმა, ოდნავ უფრო მაღალმა და ჭალარაშერეულმა. — კარგია, რომ გაგახსენდათ... გვიან, მაგრამ მაინც...

— არ მესმის, — მხრები აიჭიჩე მე, — რა უნდა გამხსენებოდა, რაც არასოდეს დამვიწყებია. — და უცებ მივხვდი, რომ აორღელ ასტრონავტებს სტატუსული გეგონე: რაც მთავარია, მე და ამ პლანეტის მცხოვრებნი ხომ ერთმანეთისაგან გარეგნულად თითქმის არაფრით განვსხვავდებით! ვარდა ამისა, ისიც მაშინვე მენიშნა, საღმის დავიანების გამო რომ მისაყვედურეს: აცი არც იმათ, ვინც აეროდრომზე პირველი შემხვდა, და არც უხეჩაეს მისალმებისათვის თავი არ შეუწუხებოთ! მამასადამე, რა გამოდის, სტატუსსელები უგულუბელყოფენ მისალმების საყოველთაო ფორმულას? თუ, უბრალოდ, არც არასოდეს სცოდნიათ იგი?... მაგრამ როგორ, რანაირად უნდა მომხდარიყო ეს?...

— რისთვის მოვხვდით? — ისევ ჭალარაშერეულმა მითხრა. — თუ იმავე კითხვების მოცემას აპირებთ, ამაოდ დასწვებით. ვფიქრობ, საკმაო დრო გავიდა საიმისოდ, რომ თქვენი უხეჩაესი გონს მოსულიყო და ჩადენილი შეცდომა გამოეწორობინა. ბოლოს და ბოლოს, როდის გავვათავისუფლებენ? ბოლოს და ბოლოს, გვეტყვი თუ არა, სად არიან ჩვენი ამხანაგები? ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, მოგვეპყრონ მიკროასოციაციის მთავარი კოდექსის შესაბამისად!

— თქვენ გაშლვებით, მე თქვენი მეგობარი ვარ, — შევეცადე, ხმისთვის რაც შეიძლება გულითადი, ალერსიანი იფრი მიმეცა. ეს არც გამჭირვებია, რადგან სულის სიღრმემდე შეძმარა აორღელ ასტრონავტთა ტრაგიკულმა დამოგარებობამ. — სტატუსული არ გეგონათ, დედამიწევი ვახლავართ. სულ რამდენიმე საათია, რაც ამ პლანეტაზე ვიმყოფებით.

ასტრონავტები უნდობლად დუმდნენ. — ამ სექტორში სასუბეით შემთხვევით მოვხვდი, — განვარკმე მე. — და სასუბეით შემთხვევით არ მეძინა იმ დროს, როცა თქვენი რადიოსადგური SOS სიგნალს გადმოსცემდა.

ჩემმა სიტყვებმა სასწაულებრივად იმოქმედა. აორღელები შეკითხნენ. ჭალარაშერეული მომიხსოვდა და მარჯვენა გამომიწოდა. მეორე, უფრო ახალგაზრდა, გვერდით დაუდგა. ორივეს ხელი ჩამოვართვი.

— მართლაც მეგობარი ყოფილხართ, — თქვა უფროს-

# ზ რ თ ე ზ ი

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა მ  
ა ბ ა ხ ა ე ლ ი

მა. — გვაპატიეთ, ასე ცოვად რომ შეგხვდით, მაგრამ ალბათ გესმით ჩვენი მდგომარეობის სიმძიმე...

— მესმის, მაგრამ იგი ახლა ცოტათი შეგიძლებოდა შეგხვდებოდა, კინაღამ, თუკი აქამდე ორნი იყავით, ახლა სამნი გავხვდით.

— თქვენც?... ჩვენ კი დესპანი გვეგონეთ. ესე იგი თქვენც ჩვენს დღეში ხართ?

— ასე გამოდის. ერთად ვართ და გამოსავალიც ერთად უნდა ვეძებოთ.

— თქვენგან რაღა უნდათ?

— იგივე, რაც თქვენგან.

— კოსმოსში გასვლის საიდუმლო?

— დიახ.

— და არ გათქვით?

— რა თქმა უნდა. მეც თქვენსავე მიმართა, რომ მათთვის ამის ცოდნა ჯერ ხადარეგია. დაე, ჯერ მომწიფდნენ საამისოდ. მერე, თვითონვე იპოვიან გზას.

— მართალია... ხომ არაფერი იცით ჩვენს მეგობრებზე?

ბელები გავალა:

— დაიღუპნენ. ყველანი დაიღუპნენ. მხოლოდ თქვენ გადარჩით, თქვენ და თქვენი ხომალდი, რომელიც, რამდენადაც ვიცი, უვნებელია.

აორღელებმა თავი დახარეს. წუთიერი დღემილით პატივი ვეცით დაღუპულ ასტრონავტთა სხეულებს.

— რაიმე გეგმა გაქვთ? — შეიძლება უპეროსმა.

პასუხის ნაცვლად გამჭვირვალე თალფაქს ავებდე.

უფროსი მიმიხვდა.

— თავისუფლად ატარებს ყოველი სახის ელექტრომაგნიტურ ტალღას, აგრეთვე ბგერას. სამაგიეროდ, არავითარი მექანიკური ზემოქმედება მასზე კვალს არ ტოვებს.

— სინეტი?

— რა თქმა უნდა. ნაყარიც ვერ დავამჩნიეთ.

ბუდიდან ლაზერონი ამოვიღე. რეგულატორი მაქსიმალურ სიმძლავრეზე დავაყეხე. ლუღა ჭარს მიუშვირე და სასხლეტს დავაწეე. ნეკისიმსხო, კარივით სწორი სხივი სახურავს მიებჯინა და წრე შემოხაზა. მერე კიდევ შემოხაზა წრე, კიდევ... მაგრამ ამაოდ. უცნაურ, გამჭვირვალე ნივთიერებას არაფერი დამართვია. ლაზერონი ბუდეში ჩავდე, ახლა კიბილად პარალიზატორი ამოვიღე და ქანდაკებასავით მდგარ გუშავს, თვალს რომ არ გვაშორებდა, შუბლში დავუმიხვნიე. გუშავი ძირში გადასხეპილი ბალახით ჩაიკვდა.

— მოკალით? — ამოხებრასავით მკითხა უმცროსმა აორღელმა.

— არა, — მშვიდად მივუთხე. — ორი-სამი საათით წაიძინებს და წამოდგება, თუკი... თუკი, რა თქმა უნდა, მისი ნერვული სისტემაც ბიოლოგიური წარმოშობისაა. ესე იგი, იგივე ავებულება აქვს, როგორც ჩვენს ნერვულ სისტემას.

ჩანს, აორღელებმა სახეზე ყოყმანის ჩრდილი შემეშინეს.

— თქვენ ეს საეჭვოდ მიგანიათ?

— როგორ გითხრათ... ზოგადი ამ პლანეტაზე მართლაც მეუცნურთა, მაგრამ ვადაჭვინით რამის თქმა ჯერ არ შემიძლია.

ასტრონავტებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. თუმცა ამ თემაზე საუბარი აღარ გაუგრძელებიათ. მეც აღარაფერი მითქვამს.

— ახლა რას აპირებთ? — წამიერი დღემილის შემდეგ იმედშერეული მოლოდინით მკითხა ქალბატონი.

ახალგაზრდობა, თქვენ რომ გიციქვით, მშორდება ზამთრის ნაირევი. ვეგავარ უსიტყვოდ და გულისმგერიტ მე თქვენს გაზაფხულს ვეზიარები.

და მინდა მაშინ ვიმღერო ისე, ისეთი გზნებით და მღელვარებით, რომ თქვენს ოცებას საღამო მივცი, შვეალა თქვენი გულის კარები.

და თუ შევძელი თქვენს გულში კითხვა, ისეთი ჰანგის მონახვა მინდა, რომ იყოს ლექსის ყოველი სიტყვა თქვენი გულივით სუფთა და წმინდა.

რომ თქვენთან დარჩეს იგი ბოლომდის, როგორც სიმღერა გულს ჩარჩენილი, და ამართლებდეს ის თქვენს მოლოდინს, მუდამ თბილი და სხივადიანი.

ყოველთვის, როცა თქვენს შორის ვეგავარ, მოხუცს ძალ-ღონე მიათქედდება. მეც ახალგაზრდა მომღერალს ვეგავარ, ოცებას ფრთები არ ეშვებება.

ბრწყინავს ჩვენი დღე სინათლით, ხავსე, თქვენ უფრო ნათელ დილას მოვლით. ეს თქვენი მზეა სამშობლოს ცაზე, ბედნიერების სხივთა მთოვლი.

და თქვენც სიმღერით წინ მიიჩქარით, გინდათ იხილოთ სივრცე ახალი. უკვე გამოჩნდა ოქროს ჭიშკარი, უფრო კაშკაშა, უფრო მაღალი.

გაშაღეთ ფრთები, მწვერვალსაც ნახავთ, დღეს ცა და მიწა ორივე თქვენი. ახე თამამად და ახე ლაღად ქვეყნად არავის არ უფრენია.

პაერს გაარღვევს სიმღერის ხმები, თვალები სხვით აივსებან. ახალგაზრდობა, ასეთი ფრთები მფრინავს ზღაპარშიც არ ღირსებია!



— კისლოვოდსკოი შენა?  
 — არალეთი.  
 — ეს არალეთი სადღაა?  
 — იმერეთშია... პატარა სოფელია.  
 — რა მივუქვს თან სოფელში სამუშაოდ? — ცოტა სიჩუმის შედეგე იკითხა ახლად მოსულმა.  
 — ანკეში, ჩიტის ბაღე, პეპლებს საჭერი. ხელმძღვანელმა დამავალა შევკრიბო მასალა კოლექციისათვის... პეპლებს მოუხუხრებ რამეს, მაგრამ თევზებსა და ჩიტებს რა ვუყო არ ვიცი, ცოცხლებს ვერ წამოვიყვან; თუ დამხონენ, ხომ აყროლდება... — ოღანი მწუსარებით შენიშნა სერგომ.  
 — განა დარიგება არ მოუციათ, სახელმძღვანელო არ გაქვს? — უფრო დინჯად უპასუხა ახლად მოსულმა.  
 — მაქვს, მაგრამ... მართლა, შენ რა უნდა გააკეთო?  
 — შე უნდა დავხატო იქაურ დამაინთა სახეები — ვინც კი შემხვდება — ლეკი, კახაი, ჩერქეზი... გარდა ამისა, იმათი მოსახლეობა, მუშაობა, დარიგების ხეობა... ყაზბეგში — ყაზბეგის ძველი, პიატიკოვსკოი — ლერმონტოვის გამოუცხადელი და, თუ იქიდან პეტროვსკის გზით წამოვდი, მაშინ ლოკოინებზე უნდა ჩამოვიტანო.  
 — გაუხეთისათვის, არა?

— ვინც მოიგებს, იმან რა?  
 — არაფერი...  
 — დავწეროთ პირობა, — გათამამდა სერგი.  
 — დავწეროთ...  
 — იცი რა?.. შენ ჩემს წინგაკში ჩასწერი, და მე შენს წინგაკში ჩავწერი. — კარგი.  
 და ორმა ბავშვმა ერთმანეთთან შეთანხმებით ჩასწერა:  
 „ჩვენ, პიონერები, სერგო მაღლავერიძე და ვანო ქათიაშვილი, მთელი საფხულის განმავლობაში შევევრებთ ყოველგვარ მასალას, როგორც გაუხეთისათვის, ისე კოლექციისათვის და გავაკეთებთ ყველაფერს, რაც პიონერისთვის შესაფერისია. შემფასებლად ენიშნათ ხელმძღვანელს და ამხანაგებს — სოსოსა და ბესოს“.

საქმის  
ლოტოქონიანი

მატარი  
პ. ფოსიონილი

მოთხოვნა

# შეჯიბრება

